

ნ ე ე ნ ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1941 თბილისი კავთბეკალთბა „კომუნისტი“ ფანაი 13



ნახ. გოგინა

როლები შეიხვეალეს

მშვიდობიანობის ანგელოზი (მარხს)—ნუ გეშინათ ძია, წამოხვე, მე უკვე გამოცდილი ვარ, იხე თავშეხაფარში დაგმალო რომ ყუმბარებმა ვერაფერი დაგაკლავ.

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР!



ქსოა ბერძნული ფრთები და გაქრობული იტყუებები

სანიანგო პასკვილი ამერიკელ დიპლომატებს.

ამერიკელ ბოლიტიკოსებს იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა კავშირ-იპონის შორის ურთიერთობის გამწვანების გზით „თავიდან აიცილებდნენ იპონიის თავდასხმას სინგაპურსა და ჰოლანდიის ინდოეთზე“.

ამერიკელ გაზეთის „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ვ. ლიპმანი და სხვა ბურჟუაზიული ჟურნალისტები „მელანქოლიურად მსჯელობენ იმაზე, თუ ამერიკის შეერთებული შტატების რა ბრწყინვალე პერსპექტივები ჩაშალა საბჭოთა კავშირ-იპონიის პაქტმა“.

როცა საქვეყნო ამბების ცნობით ვიყავი გართული, მე მომაგონდა ანაზღად ერთი ანდაზა ქართული.

იგი ანდაზა ყველასგან გაგონილ-განაგებია:
„ჭინჭველს თუ ღმერთი გაუწყრა, გამოესხმება ფრთები“.

როს ვაშინგტონელ ლიპმანთა ხსოვნას ჩემს გულში ვატარებ მათ უნებურად ღმერთგამწყრალ ჭინჭველელებთან ვაღარებ.

როდესაც იუდენიჩი პიტერთან წითლებს შეება, ფრთები შეესხათ ლიპმანებს ცხრამეტროვანი, ვეება,

როდესაც თეთრი გენერლის ჯეგმა აღმოჩნდა ჩაშლილი, ფრთა შეეკვეცათ ლიპმანებს ცრუ იმედებით გაშლილი.

როდესაც მძორი წარსულის დენიკინ-პირსისხლიანი მოსკოვისაკენ დაიძრა ბედი უჩანდა სვიანი,

მაშინ ლიპმანთა გულები შვებით ატოკდნენ ზღვასავით და ცაში ფრენა მოუხდათ ფრთაშესხმულ ჭინჭველასავით,

არც ეს იმედი გამართლდა იმედთა მსგავსთა სხვასავით და კვლავ მიწაზე გაცოცდნენ ღმერთგამწყრალ ჭინჭველასავით.

როდესაც „ძია“ კოლჩაკი ჩვენს მხარეს შემოესია

კვლავ ფრთა შეებათ ლიპმანებს იფიქრეს: „მოდის მესია...“

იგი დაგვიხსნის ნამდვილად ბანკებს და კაპიტალსაო, ჩვენ მოგვცემს მყუდრო ცხოვრებას მტერს დაუყენებს თვალსაო.

არც ეს იმედი გამართლდა, არ მორჩა ლიპმანთ იარა, და მოკლე ხანში ვრანგელმაც სხვის ბედი გაიზიარა.

შავმა ზღვამ ზიდა ვრანგელი დაღონდნენ ჭინჭველეები რადგან არ იქცა მტრის ხვედრად ჩვენი კავშირის ველები.

ამ მარცხმა ჭინჭველთ გულები თუმცა კვლავ სევდით მოზინდა, მაგრამ მათ მხრების სივრციდან სხვა ფრთები ამოფოფინდა:

იფიქრეს: სუსტი გვეგონა აქამდის იგი ჩვენაო, და იმ სისუსტით გვინდოდა სარფა და გამოჩინაო.

მაგრამ ძლიერი აღმოჩნდა, — შემბმელს უჩვენებს სეირსო; მის „სისუსტეში“ თუ შევცდით, მის ძალში ვნახავთ სეირსო.

მტრად გადუღგება მეზობლებს, რადგან თვით შესწევს ძალიო, და ჩვენს მტრებს, მეტოქეებსაც მისკენ ექნებათ თვალიო,

ჩვენთვის ვერავინ მოიცილის, დავ უგავთ შუბს და ფარსაო, იმ ის გოგრის ქირიმე, სხვის ხელით ვინც გლეჯს ნარსაო.

მაგრამ თვით ხელი, რითაც „ბრძენს“ ნარის მოგლეჯა უნდოდა, ჭკვიან თაოსან ტანს ება; ბედი მტრად ექცათ, უნდოთა.

არც ეს იმედი გამართლდა ვაი, დაგიდგათ ზამთარი საბრალლო ჭინჭველეებო სულ აგერიათ დაუთარი.

ზავი დაუდეთ მეზობელს, მიტომ ხარო განახელები, თუ ნარის კრეფა მოგინდეთ დე კრიფეთ თქვენი ხელებით.

ვაი რა ფრთები დაკარგეთ ცხრამეტრიანი, ვეება მისთვის რომ თქვენი მიზნისთვის კავშირი არვის შეება.

რომ საკუთარ გზით მავალნი ჩვენი გზით გაფსწევთ კვალადა, და სხვის გაცვეთილ იშკილებს კვლავ ქარს გავატანთ ჩალადა.

ასე გვჩვევია და კვალად ვატარებთ ამგვარ ჩვევასა, და ფრთა შეკვეცილ ლიპმანებს ჩვენ ვაძლევთ ასეთ რჩევასა;

როს გაიხსენონ ჩაშლილი გეგმები უკულმართული, დე მოიგონონ წამსავე ძველი ანდაზა ქართული,

იგი ანდაზა ყველასგან გაგონილ-განაგებია, „ჭინჭველს თუ ღმერთი გაუწყრა, გამოესხმება ფრთები“.

მედუზა

მოლა მასრაღინას მიზაქველი



„საბერძნეთში ხალხის აჯანყების შიშით, ათინიდან კუნძულ კრეტაზე წავიდა საბერძნეთის მეფე, რომელმაც განაცხადა, რომ ის იქიდან დაიკავს ხალხს.“
რაღიო — ცნობა

ერთხელ მოლა მასრაღინას ჩააბარეს სოფლის ჯამე რომ ელოცა ალახის წინ მას ხალხისთვის დღე და ღამე. ისიც მოლურ წესისამებრ, აღიოდა მინარეთზე და ლაქლაქით ქადაგობდა თავის მრევლში დღე და ღამე: — იცით ბრიყვნო რას გვასწავლის ჩვენ ალახი დიდებულო? მოლაზეა მთელი ხალხი ეხლა დამოკიდებული: თუ გინდათ, რომ თქვენი სული დავამკვიდრო სამოთხეში ყველამ უნდა რვა მარჩილი მომიტანოთ ხოლმე დღეში. ამას გარდა, ფეშქაშებიც წმინდა ალახს გულით უყვარს, მომიტათ და მე გადავცემ თქვენს საჩუქრებს მამაუფალს: და თუმცა მრევლს მისი სიტყვა არ სჯეროდა არასოდეს, მაგრამ რაღაც ჩვეულებით მოლა მაინც ყვლედდა სოფელს. შეეჩვია სხვის ნაოფლარს, მადაც უფრო გაეზარდა, და სხვა საქარცვს უწყო ძებნა თავის მრევლის ჯიბის გარდა. ერთიც ვნახოთ, იმ სოფელში სოფდაგარმა გამოვლილმა ღამის გასათევის ძებნა იწყო — უმალ გზით დაღლილმა. მოლა მას წინ შეეგება და რა მიხვდა მის განზრახვას, მოახსენა: ღვთის სტუმარო, დიდათ ეხარობ აწ შენს ნახვას. და თუ ქისას ფართოდ გახსნი, რომ მიბოძო თანხა რამე, შემძლიან რომ გაგიღო ჩემი სოფლის დიდი ჯამე. თავლადაც და საწყობადაც შეგიძლიან მოიხმარო, — სამლოცველოს თალის ქვეშ კი შენ იძინე, ღვთის სტუმარო, მე ხალხს ვეტყვი, რომ შენ ხარ ალახისგან მოჩენილი,

რომ ჩქარა ამაკრეფინო ღალა მათზე მორჩენილი გარიგება მართლაც მოხდა. მოლამ ქირა იგდო დავლად, თვით ჯამე კი გადაიქცა იმ სოფდაგარის სადგომ თავლად. და როდესაც მეორე დღეს ხალხმა ნახა ეს ოინი, კეტებს ეცნენ, რომ მოლასთვის გაეცალათ მართლაც ღდინი. ეს იყნოსა მასრაღინამ, თავს უშველა იმავ დილით: გაიპარა იმ სოფლიდან, უმალ თავქუდმორგლევილი — და ცხრა მინდვრის დაშორებით ერთ გორაკზე წამობრტყელდა და იქიდან თავის სოფლის „საქომავოდ“ ამეტყველდა: მე ალახის ჩაგონებით შევიტყვე და შევიგენი, რომ ღვთის საქმეში ერევა ვილაც ტლანქი და რეგვენი; ვბრძანებ: ჩვენი სოფლის ჯამე ისევე დარჩეს უფლის ბინად, ხალხი მრევლად, ხოლო მე კი — იმის მოლა მასრაღინად! ამ მის სიბრძნეს ყური მოჰკრეს და შეჰკადრეს მოლას გოროზს, „წაწყმედილო, ეგ ბრძანება ვინლა უნდა გაგიგონოს? შენ დასტოვე ჯამეც, ხალხიც, თავი აღარ შეიკავე, აწ კი დაჯექ მავ გორზე და რამდენიც გასურს ირიკავე“. საბერძნეთის მეფის ქცევამ — ეს ამბავი ძველის ძველი გაგვახსენა და აქ მოგვყავს შედარება უეჭველი: თურმე მოლა მასრაღინას კვლავ ჰყოლია მიმბაძველი!

ვარსაღანი

რა მიზანია?

ხშირად ჩვენი ტრამვაის ვაგონებში უსუფთაობაა. (ნაანგკორის წერილიდან)



კონდუქტორი: — ხაკვირველია, გაზაფხულდა და ჩემი მგზავრები კი მაინც გაციებულან, სურდო დამართიათ, რა მიზანია?

დიდი ხანია არ მენახა ერთი ძველი ნაცნობი, რომელიც წინად ჩვენს უბანში ცხოვრობდა და სხვა მეზობლებისაგან მხოლოდ იმით გამოიჩინოდა, რომ ზედმიწევნით ზარბაძი იყო. მეზობელთან ჩხუბი, ლანძღვა და ზოგჯერ წათაქება წარმოადგენდა მის სულიერ საზრდოს. თავის უკულტურობას იმითაც ამტკიცებდა, რომ დადიოდა მუდამ ჩამოგლეჯილი ტანსაცმელით და პირს მხოლოდ დღესასწაულების წინა დღეებში იბანდა.

და აი სწორედ ეს ნაკლებად სიმპატიური ძველი ნაცნობი შემხვდა ამას წინად ერთ ქალაქში, სადაც მივლინებაში ვიყავი ჩასული.

რა თქმა უნდა ასეთი ნაცნობის ნახვა, თუნდაც დიდი ხნის უნახობის შემდეგ, ვერაფერი სასიამოვნო ამბავი იქნებოდა და შეიძლება მისთვის გვერდიც ამეგლო, მაგრამ ჩემი ყურადღება მისმა ჩაცმულობამ მიიპყრო. განიერი ჩაშვებული შარვალი საესვებით უფარავდა ფეხსაცმელებს, პიჯაკი მჭიდროდ შემოსალტოდა ტანზე და მხოლოდ ბეჭებში განიერდებოდა. ყელზე მას შემოეხვია გამოურკვეველი ფერის ჰალსტუხი. თავზე ძველი ცილინდრი ჩამოეფხატა.

— თუ არ ვცდები თქვენ ვიფანე უნდა იყოთ! — მივესალმე ნაცნობს.

— სწორედ ის ვარ.

— საიდან სადაო, რას მივაწერო თქვენი აქ ყოფნა?

— მე ის ვიფანე აღარ ვარ, წინად რომ ვიყავი. ახლა აქ ვმუშაობ, კარგ ხელფასსაც ვღებულობ და დაფასებაც დიდი მაქვს.

— ყოჩად ბიჭო, სად მუშაობ?

— „ფაჩურემონტის“ არტელის კულტურაჲსი ვარ.

— ძალიან სასიამოვნოა. ასე არა სჯობია კაცო? ცხადია, რაიმე კურსებს დამთავრებდით.

— კურსების დასამთავრებლად სად მცალვოდა.

— აბა წერა-კითხვა კარგად არც კი იცოდი და კულტურაჲსად ვინ მიგიღო?

— თქვე დალოცვილო ხომ ხედავთ როგორ კულტურულად ვარ ჩაცმული. მართო ჩემი ჰალსტუხი და ცილინდრი საკმარისი იყო, რომ განათლებულ კაცად მივევლეთ.

— როგორ კაცო?

— როგორ და ისე. ამ ქალაქში მე არავინ მიცნობს.

— კი მაგრამ დოკუმენტი არ მოგთხოვს?

— როგორ არ მომთხოვს, მომთხოვს კი არა, ერთ არტელში მილიციას გამოუძახეს და კინაღამ დამაპატიმრეს.

— მერე?

— მერე მეც მოვინახე ისეთი არტელი, სადაც არავითარი დოკუმენტი არ მოუთხოვიათ და დიდი კმაყოფილებითაც ჩამრიცხეს შტატში. უფრო დაწვრილებით მოგიყვებოდით ჩემს ამბავს, მაგრამ ახლა ლექცია მაქვს და მეშინია არ დამაგვიანდეს.

გავყვევი ამ უცნაურ „კულტურაჲსს“. წითელ კუთხეში მართლაც, ოცითდე კაცი და ქალი შეგროვილიყო და კულტურაჲსის მოსვლას ელოდა.

— ჩვენ დღეს ვისაუბრებთ საერთაშორისო საკითხებზე? — გამოაცხადა ვიფანემ და დაიწყო:

— ამხანაგებო, დიდი დეკა-დეკა ატენილი მთელს ვერობაში. გერმანია ყარაჩოდულად მიაწვა ანგლიეს და ისეთნაირად დოტუტოკა, რომ სულ ლიწინ-ლიწინი დაწყებია ანგლიის სატატრო ქალაქს სიცილიას. ასე, რომ იქ ახლა სიცილის გუნებაზე ვეღარ არიან. ისეთი რია-რია ატენილი, რომ ძალი პატრონს ვერ ცნობს

„გაეოგრაფი გეგისა“

ნან. ა. კანდელაკისა



— როგორ შეიძლება ხანოვავის გადაუფარებლად დაწყობა? ბუზებით და მტვრით იხებება.

— ნუ ღელავთ მოქალაქეგ, როცა აგიწონით ბუზი აფრინდება, მტვერი კი ისეთი ფერიხაა, რომ არ დააჩნდება.

ამსობაში იხელთა დრო და იტალიემ ჩხუბი გაართუცხადა საბერძნეთს და გეოგრაფიას. მთელი გეოგრაფიის ჯარები ახლა შეესია აბისინიას. თხო, ხო, ხო, რა ამბავია რომ იცოდეთ. ვუსმენდი ამ საუბარს და სიტყვებს უღიგებოდა, ვეცხოვრება დამსწრეთაგან ჩემსავით ბეგრს ეცინებოდა. ეს არ გამოეპარა „ლექტორს“.

— რას იკრიბები, ბიჭო, შენი! — მიმართა მან ყოფი დამსწრეთაგანს, — ასე უნდა უსმენდე კულტურაჲსის საუბარს?

„კულტურაჲსი“ მე მომიბრუნდა:

— ასე ძნელია გაუნათლებელ ხალხთან მუშაობა. ასწავლე ახლა ამ ბრიყვებს კულტურა. დაგიკრებენ? მე ჩემად ვურჩიე ვიფანეს უაზრო საუბრის ნაცვლად გახეთის ხმადალლი წაკითხვა მოეწყო.

— კითხვა არ მენერხება, თორემ მაგას რალა აჯობებდა! — ჩემადვე მითხრა მან და განაგრძო:

— შეკითხვები ხომ არავის გაქვთ?

— თქვენ ინგლისის სატატრო ქალაქად სიცილია დასახლდით. თუ ესეც არ იცით, რალა კულტურაჲსი ხართ! — გაუბედა ვილაცამ.

— ინგლისში მე ჯერ არ ვყოფილვარ!.. ჩაიგდეთ ენა თუ შეიძლებაღეს.

— რომელი ქვეყანა გაიმარჯვებს ახლანდელ ომში? დაცივით შევეკითხა ვილაც,

— ჩემის ღრმა რწმენით გაიმარჯვებს გეოგრაფია. დამსწრებმა თავი ვეღარ შეიკავეს დი ჩემთან ერთად ასტენეს ხარხარი.

— ვაი თქვენს პატრონს! — სთქვა „კულტურაჲსმა“ და მიატოვა წითელი კუთხე.

იმ საღამოს დავესწარი მის საუბარს სისუფთავისა და კულტურული ცხოვრების შესახებ.

— ზოგ თქვენგანს, — ამბობდა იგი, — არ უყვარს, ამხანაგებო, კულტურულად ლაპარაკი. აი მაგალითად, აქ გვესწრება მაქსიმე მახალაძე. ამხელა მუტრუკი და-მგვანებია ვირს და ერთი კულტურული სიტყვა პირიდან არ წამოსცდება. გუშინ თვითონ შევესწარი ვილაცს თავზედი უწოდა... შე მართლა თავზედო და გამოყვყვებულო, დაბერდი კაცი და გამოჩერჩეტდი? იყე როგორ უნდა გამოთაყვანდე, რომ ადამიანს თავზედი უწოდო!.. მარა, რა გელაპარაკოთ ყველა ოხერი და მამადალლი ხართ!

ამ საუბარს თურმე შემთხვევით ესწრებოდა თვით არტელ „ფაჩურემონტის“ გამგე, რომელიც ბრახმორეული წამოვარდა სკამიდან.

— ბიჭო, სამას მანეთს თვეში იმიტომ გაძლეგ, რომ მუშები გაილიანდლო? ეს არის კულტურაჲსობა? აქეთ გამოიდი მე გელაპარაკები! აქეთ გამოიდი შე წუწკო მატყუარაგ!

— ხელს ნუ მიშლით, მაცალეთ საუბრის ჩატარება — კულტურული ცხოვრების შესახებ! — სთხოვა ვიფანემ გამგეს, მაგრამ უკანასკნელს უკვე მოემარჯვებინა ცოცხის ტარი და „კულტურაჲსი“ იკადრა მოცოცხვა.

— აქეთ არ დაგინახო — მიძახა გაქცეულს.

— კიდევ კარგი რომ დროზე შევეტყვე... როგორ მოგწონთ? ნახეთ როგორ მომატყუა, კულტურაჲსი ვარო! — ვერ მშვიდდებოდა არტელის გამგე.

— კაცო, საბუთები ვერ მოსთხოვეთ?

— ბიჭოს, ცოცხალმა ადამიანმა მომატყუა და საბუთები რალას მიზამდა? ვენდე ნებირად, შესახდევად ადამიანს გაგს. — წუწუნებდა არტელის გამგე.

ამ საუბარს თურმე შემთხვევით ადგილობრივი საბჭოს თავჯდომარეც ესწრებოდა, რომელმაც ვეღარ მოითმინა და არტელის გამგეს იქვე უთხრა ის, რაც თავის კაბინეტში უნდა ეთქვა.

— არ დაგინახოთ არტელში შესული! მეც შეგმცდარვარ, რომ თქვენ გამგედ წამოგაყენეთ. წაბრძანდით, ჭკუა ისწავლეთ და მერე მოვილაპარაკოთ.

— კაცო, მე რა შუაში ვარ? ვენდე იმ კაცს და მომატყუა. აბა აღარავის ვენდო?

— ვისაც გინდა ენდეთ, ოღონდ მე თქვენ ვეღარ გენდობით. — ეს სთქვა თავჯდომარემ და გავიდა. მეც ქუდი დავიხურე და გარეთ გამოვედი.




I.

— რად უნდა ჩვენი ფაბრიკის ეზოს გასუფთავება? ენა რომ აუხვას ვინმემ მტვერი და ნაგავი მაინც არ აყვე...ყვე...



II.

— მიშველეთ... თვალები მევსება.. სასწრაფო დახმარებას გამოუძახეთ.



— არ გირჩევ აშხ. დირექტორი, იმის მიღებას სამსახურში; გაუსწორებელი ლოთია.
— ხაიდან იცი?
— ერთი კვირაა რაც წავიხსუბეთ, თორემ მუდამდღე ერთად ვლოთობდით.

აკარვეულები იწვები

როდესაც ჩვენ ბარუსს ვესტუმრეთ, იგი ტახტზე იყო წამოწოლილი და ბორჯომის წყალს სვამდა. გადავკარით რა ჩვენც ეს მშვენიერი სასმელი, პირდაპირ შეგუდექით ინტერვიუებას.

კითხვა — პატივცემულო ბარუს, რამდენი სტახანოველია თქვენს კოლმეურნეობაში და როგორია მათი მაჩვენებლები?

პასუხი — მაგის პასუხს ახლა ვერ მოგცემთ, მაგის გარშემო შემდეგ ვილაპარაკებ.

კითხვა — რა ზომებს ატარებთ მოსავლიანობის გადიდებისათვის?

პასუხი — მაგაზედაც ვიპასუხებთ.

კითხვა — როგორ გაქვთ შრომის აღრიცხვის საქმე?

პასუხი — კითხვა ნათელია. ვანაგრძეთ.

კითხვა — რა მდგომარეობაა მეცხოველეობის მხრივ?

პასუხი — ესეც გასაგებია. შემდეგ?

კითხვა — ხომ არ შეგიძლიანთ მიპასუხოთ ამ კითხვებზე?

პასუხი — სიამოვნებით. აი, გეთაყვათ (მუთაქის ქვეშიდან იღებს ქალაღის შეკვრას) აი, ეს გეგმები და ღონისძიებები შედგენილია პირადად ჩემს მიერ, რისთვისაც არა ერთი და ორი დამე თეთრად გამოითენებია. აი, როგორ წარმოგვიდგება ჩვენი კოლმეურნეობა:

სტახანოველთა აღსარიცხად მუშაობს სპეციალური აღმრიცხველი, რომელსაც ჰყავს ორი თანამემწე: ერთი — რიცხვობრივი მაჩვენებლების, ხოლო მეორე — ხარისხობრივი მონაცემების დარგში. გასაგებია?

პასუხი — გასაგებია.

— ძალიან კარგი. ახლა მოსავლიანობის გადიდების შესახებ. ამ საქმეზე გამოყოფილი მყავს საგანგებო პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს სარეველა ბალახებს, კალიებს, ხოჭოებს და ბუზანკალს. მას ჰყავს მხოლოდ ერთი მოადგილე, რომელიც შეთავსებით ასრულებს პატივის შეტანის აღმრიცხველის მოვალეობასაც.

ახლა აღრიცხვის შესახებ. სამისოდ მყავს მთავარი ბუღალტერი, მისი ორი თანამემწე, სამი მონაგარიშე და ოთხი სტატისტიკოსი. საქმის წარმოებას უძღვება მხოლოდ სამი კაცი, მათ შორის ერთია მხოლოდ ჩემი ცოლისძმა. დანარჩენები ჩვეულებრივი ხალხია. მეცხოველეობის აღრიცხვას ცალკე მომუშავე ანხორციელებს, სპეციალური პირი ადევნებს თვალყურს შინაური კურდღლების ძოვას და იმასაც, რომ ჩვენს ილაღზე გარეული კურდღლები არ შემოიპარონ. კვერცხების მთავარი აღმრიცხველი ყოველთვის-

რად მომახსენებს მე კვერცხების მიმდინარეობას, ცალკე ქათმებისა, ცალკე იხვებისა, ბატებისა და აგრეთვე ინდაურების მხრივ. გამოჩეკის პროცესს რომელიმე დიასახლისი უთვალთვალებს. გეგმა ითვალისწინებს ლაყე კვერცხების გამოყენებასაც კვერცხების ბითუმად გაყიდვის დროს... ხომ მიხვდით, რაშია საქმე?

კითხვა — ასე ვთქვათ, კარგ კვერცხებთან ერთად შეცოცების საშუალებით არა?

პასუხი — სრული სიმართლეა. აი ასეთია ჩემი გეგმა. მას აქვს დეტალებიც. მაგალითად, სპეციალური მეტეო-მუშაკის გამოყოფა ამინდის მოსაწესრიგებლად, ცალკე პირის დანიშვნა, რომელიც ღამით იყარაულებს საქათმესთან, რომ მამლებმა უღროვო დროს ყივილი არ ასტეხონ და ხალხს ძილი არ დაუფრთხონ. მისი ტიტულია „მამლდამი“, რაც მამლების დამჩუმებელს ნიშნავს...

კითხვა — ეს ორიგინალური იდეა უკვე განხორციელებულია თუ ჯერ დამუშავების სტადიაშია?

პასუხი — ჰაი ჰაი, რომ არც განხორციელებულია და დამუშავების სტადიაშიც ვერ მიღწია.

კითხვა — როგორ?

პასუხი — როგორ და მე მივიღე მითითება, სასწრაფოდ გარდამექმნა მუშაობა, ვინაიდან, მართალია, მცირე დროა, კოლთავმჯდომარედ მოვხვდი, მაგრამ უკვე მომისწრო გარღვევამ. ბევრი ვიფიქრე რა მუშაობის გარდაქმნაზე, შევადგინე აი ეს გეგმა და წარვუდგინე კოლმეურნეთა საერთო კრებას, რომელსაც რაიონიდანაც ესწრებოდნენ. ნახევარი არც კი მქონდა წაკითხული, რომ შემაწყვეტინეს, გეგმა უკანვე გადმომიგდეს და თავმჯდომარეობიდანაც გადამაყენეს...

კითხვა — საერთოდ დაგტოვებენ კოლექტივში თუ...?

პასუხი — ეგ საკითხი მე აღარ მაინტერესებს. მას შემდეგ რაც ჩემი გეგმა უარყოფილ იქნა და ისიც ასე დემონსტრატულად, მე მომიცვა სრულმა აპატიამ. არა, თქვენ თვითონ სთქვით, რითია, მაგალითად ცუდი მამლების გამჩუმებლის დანიშვნა? თქვენ ძალიან გესიამოვნებთ, როცა სწორედ სისხამ დილაზე, როდესაც ძილი განსაკუთრებით ტკბილია, რომელიმე თავხედი მამალი ყურში ჩაგაყვირებთ: ყიყ-ლი-ყოს?...

ამასთან მან მართლაც ყივილი დაიწყო, რის გამოც ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვვარდით გარეთ.

პატივცემული ტიპი ამ ჩემი პატარა მოთხოვნისა, ჩემო კარგო მკითხველო, იყო იმ კანტორის უფროსი, სადაც მე ამ რამდენიმე წლის წინად მომიხდა მუშაობა.

გამაფრთხილეს მეტად მიუკარგებელი ადამიანი. განსაკუთრებით ფულზე ეჯავრებოდა ლაპარაკი. საერთოდ, იგი მომხრე იყო ფულადი ოპერაციების უსასტიკესი რეჟიმისა.

მაგრამ ამ სასტიკ ადამიანს სამი მეტად მნიშვნელოვანი სუსტი მხარე ჰქონდა. პირველი სისუსტე იყო ის, რომ—ოღონდ მის ქალიშვილზე ქება წარმოგეთქვათ და იგი მზად იყო ყოველგვარი საბიუჯეტო სამსახურისათვის.

ამიტომ ბიჭები, როცა ავანსის მიღებისათვის მიმართავდნენ, ჯერ საუბარს დაუწყებდნენ ამ კუთხით:

- დღეს თქვენი ქალიშვილი ვნახეთ, ამბობენ პირველი მოსწავლეო.
- მართლა?—გაეხარებოდა ტიპს,
- მშვენიერი ქალიშვილი გყოლიათ, დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა..
- ძალიან სათუთად მყავს გაზრდილი—გაიღიმებს ტიპი.
- ჰო, სხვათაშორის, ერთი ხუთი თუმანი მინდოდა ავანსად.
- მიირთვი გენაცვალე.—უბასუხებს უაქაროვით დამძნარი ტიპი.
- მეორე სისუსტე ის იყო ჩვენი ტიპისა, რომ თავი რუსული ენის დიდ მცოდნედ მოჰქონდა.

— რუსეთში ვარ ნამყოფი. ორი წელი კალუგაში ვცხოვრობდი. რუსული ჩქარა შევისწავლე!—ამტკიცებდა ტიპი და თუ გინდოდა ავანსი მიგვლოთ, უნდა მიგემართათ ასეთი ხერხისათვის:

- თქვენსავით რუსული ენა რომ ვიცოდე, რაღა მიპირს!
- შე კაცო, ისწავლე მეორე, წადი რუსეთში, მე იქ ორი წელი ვცხოვრობდი,—იტყვოდა ქებით თავბრუდახვეული ტიპი.
- დღეს ლაპარაკობდნენ, რომ თქვენსავით რუსული ახლა მთელ ქალაქში ბევრმა არ იცისო.
- ეს მართალია.

— ჰო მართლა ახლა გამახსენდა, შენ გენაცვალე, უფულოდ არ დამტოვო. — მიირთვი შე კაცო!—უბასუხებდა სახეგაბრწყინებული ტიპი ცბიერ მოხონგელს და იქვე სასტიკად შეუტყვედა მეორეს:—მომწყდით თავიდან! რით ვერ გაიგე რომ ავანსების ცაცემა შეწყვეტილია. ხვალ ხელფასი იქნება და ჩაცეცხლეთ! ჰქონდა მას მესამე სუსტი მხარე, რომელსაც მცოდნენი კარგად იყენებდნენ. ეს სუსტი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ ტიპს სასტიკად უყვარდა თავისი ძროხა.

— შევიცარული ჯიშისაა აღბად,—ეუბნებოდნენ ტიპს ბიჭები,—თორემ ჩვენებური ძროხა მაგდენს ვერ მოიწველის!

- საქმეც იმაშია, რომ ჩვენებურია.—მოიხიბლებოდა ტიპი.
- ყველა ამბობს, რომ შენი ძროხისთანა ლამაზი და ნაყოფიერი ძროხა გარეუბნებში არავის ჰყავსო.

— ეგ მართალია.—დადნებოდა ქებით გაზვიადებული ტიპი და იმ საღამოს ოჯახში მიიწვევდა ცულტურ თანამშრომლებს.

— ისეთი ხაჭაბური გაჭამოთ ჩემი ძროხის ყველით გაკეთებული, რომ დიდხანს არ დაგავიწყდეთ.

— კარგი ოჯახი გაქვთ, კარგი. ყოჩაღ მე და ჩემმა ღმერთმა.—ეუბნებოდნენ უკვე მთვრალი სტუმრები ტიპს და ჰკოცნიდნენ.

— თქვენ გენაცვალეთ ბიჭებო. თქვენი ჭირიმე. ძალიან გამახარეთ. და ვინც იცნობდა ჩვენს ტიპს ყველას უყვარდა.

მაგრამ ვაი იმის ბრალი, ვინც არ იცნობდა.

შეიძლება ვისმეს ეს ტიპი გამოადგეს თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში. სიამოვნებით დაეუთმობთ.

გე-ნო

ს ს ა ნ ა ბ ი ლ ი ო თ ა კ ა ვ ი

- გამგე თქვენა ბრძანდებით?
- ღიაღ, რა გნებავთ?
- „ნამუსი,, გაქვთ?
- ნამუსიცა მაქვს და სინდისიც.
- არა, მე თქვენს ნამუსზე არ გელაპარაკებით, მე მოგახსენებთ შირვან-ზადეს „ნამუსზე“.
- მე სხვის ნამუსთან რა მესაქმება? მე ჩემი თავი მახარია.
- მე წიგნზე გელაპარაკებით,—რომანზე.
- წიგნზე?... რატომ აქამდის არა სთქვით?
- აკი გითხარით! თქვენ რომ არ იცოდეთ, რა ჩემი ბრალია!
- როდის მითხარით?
- (ამ საინტერესო საუბარში ერევა მესამე მოქალაქე.)
- გაანებე თავი, რას ელაპარაკებით? „ნამუსი“ რომ ჰქონდეს, ამდენხანს გელაპარაკებდა?...

სტ. არღუთელი.

ახალი რეკორდი

ალექსანდრია. ბრიტანელმა გენერალმა სერ ჯონ ჯონსონმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი: მან ფრონტიდან გამოქცევოს დროს აფრიკაში ფეხით გაიბრინა 11 კილომეტრი 40 წუთის განმავლობაში.

გიჯაფი და უედეგი.

ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტთან დაკავშირებით ვაშინგტონის აფთიაქებში რამდენიმე დღეში გაიყიდა ვალერიანის წვეთების მთელი მარაგი.


სახელის გამოცვლა

რომი. ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე შესდგა თევზების გაფართოებული კრება. კრებაზე დამსწრეებმა ერთხმად დაადგინეს: ვინაიდან ხმელთაშუა ზღვის აუზი გემების ბომბარდირების გამო საფრთხეს უმზადებს მათ აქამდე მყუდრო სიცოცხლეს, თავი შეფარონ ჰერჯერობით წყნარ ოკეანეში.


კავაზოვილი

ლონდონი. უკანასკნელმა კვირამ ლონდონში შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, რადგან ქალაქში შეღამებიდან დაწყებული ბომბარდირება ჩვენი ავიოგამანადგურებლების და საზენიტო არტილერიის ენერგიული მოქმედებით ყოველ განთიადისას ყოველთვის წყდებოდა.

გიჯაფის ახალ ჰქვიან



- იმიტომ გავანებე იმ დაწესებულებას თავი, რომ იქ მუშაობა აღარ ღირს.
- როგორ, ახალი დირექტორი ცულად მუშაობს?
- პირიქით, საქმეც იმაშია რომ ძლიერ კარგად მუშაობს და სხვა თანამშრომლებისაგანაც ამასვე მოითხოვს.



ჩვენ ვიცნობთ რკინიგზის დიდი სადგურების მოლარეების მუშაობას. მათ ერთ საქმეში მაინც ვერ დავემდურებით. თავის დროზე ცხადდებიან სამსახურში და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მაგრამ ეს არ იქმნის პატარა სადგურების ზოგ მოლარეზე. პატარა სადგურის მოლარეებს ზოგჯერ დიდი გული აქვთ. ავიღოთ მაგალითად გომის რკ. გზ. სადგურის მოლარეები. მათი საქმიანობის შესახებ ჩვენი თანამშრომელი გაგელი გვწერს:

გომის სადგური ხალხით არის გაჭედილი. მოქალაქეების სალაროს ეხვევიან.

ისმის ჩოჩქოლი.

— გამიშვით! აქ ჩემი ადგილია.

— რას ამბობ! მთელი საათია აქ ვდგევარ და არ მინახავხარ! უკან ჩამოდექი.

— რას ჩხუბობთ. მოასწრებთ ბილეთების შეძენას.

— რას მოასწრებთ ამდენ ხალხში. მატარებელი უკვე გამოსულია.

ნერვიულობა იზრდება.

ისმის სალაროს სარკმელზე ბრახუნნი.

სარკმელს არავინ ადებს. მოლარეს ჯერ არ უკადრებია მობრძანება.

— გააღეთ! მატარებელი მოდის!

— რას გააღებს რომ არ მოსულა?

— რაღა ვქნათ!

— ვიღუპებით!

— სად არის, იმის...

მოლარე მაინც არსად სჩანს.

ჩამოდგა მატარებელი. მგზავრების ნაწილი მორიგესთან გარბის, ნაწილი სადგურის უფროსთან. ნაწილი მეისრესთან. ნაწილი საბარგო განყოფილების სარკმელს აშურებს რომ იქ აღმოჩინოს დაკარგული მოლარე.

როგორც იქნა, იკადრა მოლარემ მობრძანება.

— რად დაიგვიანეთ? — მოკრძალებით ეკითხება მგზავრი.

— როგორ თუ დავიგვიანე! თქვენ მაგ კითხვისათვის პასუხს გაგებინებთ. მე ვიცი როდის უნდა მოვიდეთ. გაიგეთ სამუდამოდ, რომ მე მატარებლის ჩამოდგომამდე არ ვყიდი ბილეთებს!

— ბოდიში! თბილისი.

მოლარე ძლივს ასწრებს ხუთიოდე ბილეთის გაყიდვას. დანარჩენი მგზავრებიდან ნაწილი უბილეთოდ ახტება დაძრულ მატარებელს, ნაწილი სადგურშივე რჩება და „კურთხევას“ უთვლის „უქანონოდ შეურაცყოფილ“ მოლარეს.

გომის სადგური არც ისე დიდია, პატარაა, მაგრამ სამაგიეროთ მის მოლარეებს დიდი გული აქვთ. სადგურის უფროსის მოვალეობას შეადგენს ასეთი დანაშაულებრივი საქციელის შემთხვევაში გააფორმოს საჭირო შუამდგომლობა, რათა ტრანსპორტის დიდგულოვან დეზორგანიზატორებს „პატარა ადგილი“ მიუჩინონ სადაც ჯერ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში არც თქვენთვის შეგვმურდება „პატარა ადგილი“ თუნდაც ნიანგის რომელიმე კუნჭულში, პატივცემული გომის რკ. გზ. სადგურის უფროსო.

იყო ერთი ავტორი, მარჯვე კომბინატორი. მან დასწერა რომანი: „ჩვენი შემოდგომა“.

გაარჩიეს, აღნიშნეს სიტყვით არა გრძელითა: — „ეს რომანი სავსეა მტკნარი სისულელითა“.

მაშინ იმავე ავტორმა, მარჯვე კომბინატორმა, სხვა გზით შემოუარა — შეიცვალა მან ფორმა.

მან დასწერა პიესა რეპერტოკომში მიათრევს, ავანსებიც დასტყუა გულუბრყვილი თეატრებს.

მაგრამ რეცენზეტები სტეხენ აყალ-მაყალსა: გიჟის ბოდვა დაარქვეს იმ პიესას ახალსა.

იგი აღარ დაიდგა ვერ ეღიროსა სცენასა,

მაგრამ მისი ავტორი არ გრძნობს გულის ტკენასა. ხელად იმავე ავტორმა მარჯვე კომბინატორმა სხვა გზით შემოუარა — შეიცვალა მან ფორმა.

გზები არ შეეშლება იცის საითკენ არი: დაჯდა ხელად დასწერა ბარე ათი სცენარი.

დასდო ხელშეკრულება, ავანსებიც აიღო, სცენარი სად წავიდა ვერავინ ვერ გაიგო...

მაგრამ მარჯვე ავტორი, დაუბეჭდავ რომანის, დაუდგმელი პიესის, დაკარგული სცენარის,

მაინც ავტორია და... „სახელგანთქმული“ არის.

მალალ-მალალი

მოულოდნელი აბგები ახალი მოდის ხულიგნები

ჩვენ ხელთ ჩავვივარდა სრულებით ჩვეულებრივი დოკუმენტი—ფულის ნიშანი, სრულებით არაჩვეულებრივი ატრიბუტებით: მასზე არის რამდენიმე წარწერა.

პირველი:

„ყურადღება! ეს ფული ჩემი იყო და დავხარჯე სასადილო „კოლხიდაში“, გთხოვთ, თუ შეგხვდებით, დამიბრუნოთ შემდეგი მისამართით: მახარაძე, ანასეული, ტვიტვირა დოყლაპიაშვილს“.

მეორე:

„1940 წლის 23 მარტს ვიყავი კოლია ჩიკაშუასას და ეს ფული მოვიგე ნარდში. დავით დლონტი“.

მესამე:


„ახლა ეს ფული მე ჩამივარდა ხელში. მაინტერესებს, შემდეგ ვის ერგება. გთხოვთ მომწეროთ შემდეგი მისამართით: ფოთი კიროვის, 11. გ. სარიშვილი“.

ესაა სულ ამ ახალ მოდის მწერალთა შემოქმედება სახელმწიფო ფულის ნიშანზე. მკითხველი ალბათ იტყვის, რომ ეს შემოქმედება კი არა, ხულიგნობააო, რაშიც მას სავსებით ვეთანხმებით.

ნაღმი


მიმართეთ ძიმისტარაშვილს.

აფხაზეთის ასსრ კავშირგაბმულობის სამმართველომ გამოსცა: „სოხუმის სატელეფონო ქსელის აბონენტთა სია“. მისი რედაქტორია ამხ. ვ. ძიმისტარაშვილი. ალფაბეტის სრულის აღრევისა და სხვა დეტალების გამო ჩვენ ვერ ვსარგებლობთ ამ „სიით“, ამიტომ ამხ. ძიმისტარაშვილს გადაუწყვეტია სპეციალური საათებ გამოპყოს „სიით“ მოსარგებლეთა საკონსულტაციოდ.




(თეატრში მიღეს მორიგი პრემიერა)

1-ლი მაჟურბეზელი — ის მხანიოზი რატომ აგვიანებს, და ჩერდება ხშირად
მე-2 მაჟურბეზელი — როლი არ იცის, მოკარნახე კი ცუდად კითხულობს



(ათბ დღის შემდეგ, იგივე მაჟურბეზები)

1-ლი მაჟურბეზელი — დღესაც ეს მხანიოზი ცუდად ასრულებს როლს!
მე-2 მაჟურბეზელი — იმიხატვას, რომ დარბაზში ცოტაა მაჟურბეზელ და ხალხის დაეკარგა.



(მორიგ პრემიერაზე იგივე მაჟურბეზები)

1-ლი მაჟურბეზელი — ვერ გამოიგია, რა დაემართა ამ მხანიოზს, დღეს მაჟურბეზელიც ბევრია, მოკარნახეც კარგად კითხულობს, მაგრამ ის კიდევ ვერ ასრულებს თავის როლს.
მე-2 მაჟურბეზელი — დღეს კიდევ ამოდენა მაჟურბეზლის დახანჯვზე შეერთა.

— რა ქენი ოლიფანტე, აჩვენე რეჟისორს ჩემი პიესა?
— კი, წავიკითხეთ კიდევაც ერთად და...
— მართლა? რა თქვა მერე? რა აზრისაა? დადგენს თუ არა?
— დიდი გამჭრიახი კაცია ჩვენი რეჟისორი...
შეტყობა...

— ატყობს პიესის სიკარგეს უცბად არა?... მოდი, რაღა აქ ვილაპარაკოთ, აგერ კაფეში ჩამოვჯდეთ, მეც მომშვივდა სანამ შენ გიცდიდი მაგ პიესის ბედის შესატყობად... აგერ დავჯდეთ კუნ-ქულში... მოიტანეთ საუზმე და ერთი ბოთლი ღვინო... მერე! მერე!...

— მერე და! საერთოდ ეგ რეჟისორი ნიჭიერ ხალხს აფასებს!
— უპ, შენ გენაცვალე!... ამხანაგო ოფიციატ, ორი მწვადი შესწვით, კარგი იყოს იცოდე! — მერე ოლიფანტე, მერე?

— ძლიერ უყვარს კარგად დაწერილი პიესები!
— თოო! რასაკვირველია ეყვარება! ამხანაგო ოფიციატ, ერთი ბოთლიც წამოგვიღე ღვინო და ლიმონათიც მოაყოლე! განაგრძე ოლიფანტე. როგორ გამახარე რომ იცოდე! მერე?

— საერთოდ იდეოლოგიას და ტექნიკურ მხარეს პიესისას ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს!...

— გენაცვალე სულში! მართლა კარგი რეჟისორი ყოფილა, გამგები! ამხანაგო, ზუთხიც შესწვით. ზუთხი, ორი კერძი — განაგრძე ოლიფანტე!

— ჰოდა ასეთია ჩვენი რეჟისორი. ცუდი ყველაფერი ეზარება!

— მართლა კაი კაცი ყოფილა! რა თქვა მაინც ჩემს პიესაზე?

— რა თქვა და ასეთ რამეს მე ვერ მოვითმენ, სრული უნიჭობაა! არც იღეა არის და არც არაფერი ამ პიესაში! შენი ჭირიმე, დაუბრუნე თავის პარტონსო და აი გამომატანა აგერ!

— ??? ამხანაგო ოფიციატ! არ არის საჭირო მწვადი და ზუთხი! გაეძეხით უკვე! მიიღეთ საუზმის ანგარიში... მშვიდობით ოლიფანტე, მეჩქარება.

დაუდ

ღამის მოლოინები

(მცხეთა)

ფეხბურთელი — ამხანაგო, ფიზრწმუნებულო! როდის გვექნება „ტრენიროვკა“ ფეხბურთში?

ფიზრწმუნებული — როცა არაგვი აღიდღება.

ფეხბურთელი — რა შუაშია არაგვი!

ფიზრწმუნებული — რავე შე კაცო, ასე უცბად დაგავიწყდა თუ. ხომ გახსოვს ამას წინათ რო ლამი დაგვიტოვა და მშვენიერი მოედანი გაგვიკეთა.

ფეხბურთელი — (ამოოხვრით) ჰო, როგორ არა, მახსოვს მაგრამ...

ფიზრწმუნებული — რა მაგრამ.

ფეხბურთელი — (ირონით) დიდებული, საუცხოვო გამოგონებაა. ეს რომ მაგალითად, საგამომგონებლო ორგანოებმა იცოდნენ ჯილდო არასგზით აგცდება.

ფიზრწმუნებული — (ბოლოთასა სცემს) სიტყვას ბანზე, ნუ სროულობ. მამასხრებ თუ...

ფეხბურთელი — აბა, რას კადრულობ. აკი ვითხარი ეს გამოგონება ფეხბურთის სტადიონების მშენებლობის ისტორიაში ახალია. ოლონდა ერთი რამ კი მეექვება.

ფიზრწმუნებული — მაინც რა, ბიჭო!?

ფეხბურთელი — ეს ყველაფერი კარგი. მადლობის მეტი რა ეთქმის არაგვს. მაგრამ, ერთიც ვნახოთ, არაგვის მოტანილი ლამი ისევ არაგვმა წაიღოს, მაშინ რაღა გვეშველება?

ფიზრწმუნებული — მაშინ... მაშინ... მაშინ... (ხმა უწყდება).

ი. ბუხაიძე,

ნ. მიქაშაიძე.



— თქონდ ეგ ხაქმე გამიკეთე და ჩემი თავი შენი ფეშქაში იყოს.

— რად მინდა ახე აბურძღნული თავი? ჩვენი პარიკმახერის ამზავი რომ ვიცო, მაგის გაკრეჭვაში 7 მანეთს გადამახდევინებს.

შორაპანის საღმურს უფროსად ჰყავს ვანო მეტრეველი... მკლავადის მიმდევარია „რაინდი“ ძველი... რასაც გიბრძანებს, მას თუ არ შეუსრულებ წამზე, მისი გმირული მუშტები ცეკვას დაიწყებს თავზე. მან მუშა ნიშნიანიძეს გამოუცხადა ბრძოლა. ტარიელურად გასცხო და თხრილში გადისროლა. მცველები გაჩნდნენ მასთან მებრძოლის გასაშველად — გამშორდით! — უთხრა ვანომ თორემ მოგზვდებათ ყველას. შეშინდნენ მცველნი შორაპანის არ გახდნენ ბრძოლის მდომნა... „გამარჯვებული“ დარჩა ჩვენი „აფრიკის ლომი“.

ალაიბე

გზაპრობა ავგობუსით (მალაროვიდან საღ. ტვიზულაფდე).

ამ სიმპატიურ მანქანას ვახსენებ უღრმეს პატივით, — დიდი ცდის შემდეგ მოცოცდა ფრთა მბტეხილი ბატივით. გუნდათ მივაწყდით შესავალს შიგნით შევცოცდით გმირულად, სახურავს აკლდა რემონტი გვაწვიმდა კოკისპირულად. ყვიროდა კონტროლიორი: (შავი ხალათი ემოსა) მოსთქვამდა ძველი კარები (მღეროდა „თავო ჩემოსა“) ვილაცამ გულში ჩამეკრა თითქოს ვიყავით ძმანები, (ორივემ ერთად მივიღეთ ცივი წყლის აბაზანები). მჭიდროდ მჯდომ მგზავრთა მასისგან ლამის დამზადა სილოსი, მუცლებით ზელდნენ ერთმანეთს აშლოყინე და ნილოსი. საღმურში „მარდად“ მივცოცდით „ვერ მიგვასწრებდა ფრთოსანი“, ავტობუსს ჩავეჩქე ჰაბუკი ჩამოვხტი ჰალაროსანი.


ვალ. მუხუჩაილი

ერთ საღამოს ერთ კინოში

ჩინებული გამოგონებაა კინო; მე განსაკუთრებით შიტაცებს საინტერესო კინოსურათი. და ალბად ამიტომ, რომ ასეთი სურათის სანახავად რომ წავალ, სწორედ მაშინ შემემთხვევა კურიოზები. ამას წინათ ერთერთი მომნიბლაფი სურათის სანახავად წავედი. დრდებულ ხასიათზე ვიყავი და გადაწყვეტილი მქონდა, ორი სენსი მენახა ერთად: ეს კარგია, სახეებიც დაგახსომდება, დიალოგებიც და განსაკუთრებით მუსიკა. მუსიკა კი განსაკუთრებით მიყვარს. შევედი კინოთეატრში და მოვიხილეთ რიგში ჩადგომა. მაგრამ ერთია სურვილი, მეორე — შესრულება. რიგში ისეთი წესრიგი იყო, რომ რალაც ნახევარი საათის შემდეგ მე დავრჩი აბსოლუტურად უფოლაქოდ ხოლო ჩემმა ქუდმა ჯერ ხალხის მხრებზე გაისფირა, შემდეგ კი მათი ფეხების საწმენდად იქცა. რიგიდან გამოვედი. გათავდა ყველაფერი. განწყობილება მჭირი მოგქამათ. ის იყო, გამოსვლას ვაპირებდი, რომ ერთი ყმაწვილი მომიხლოვდა და იდუმალის ხმით მითხრა: — ძია, ბილეთები მაქვს. — რა ღირს? — ორია. ექვსი მიმიცია, თხუთმეტად წაიღე. — სირცხვილი არ არის, ყმაწვილი კაცი ასეთ გზას ადგინარ? მოზარდი ხარ, მოწაფეც უნდა იყო, — ეს განა გებატრება? ყმაწვილმა ერთობ ურცხვად გაიღიმა, მომშორდა და შეუერთდა ჯგუფს რომელიც მასავით „მშრომელი“ ბიჭებისაგან შესდგებოდა, გარეთ გამოვედი. — სავეცი, ტემპი! — რეკორდი, კახბეკი! გაიძახოდნენ ჩემს ირგვლივ და გაცხოველებით ვატობდნენ. მე გულმოსული გავემართე დირექტორის კაბინეტისაკენ. ძლივს შემიშვეს: „კურდღელი“ ვეგონე.

— ალო! ა? დიხს! როგორ არა! ხა ხა ხა. ცხადია! ექსპერიმენტების როგორ გეკადრებთ! როცა გნებავთ... როგორც იქნა, დაამთავრა და შემომხედდა: — ბილეთები აქ არა გვაქვს. სალაროში მიბრძანდით! — მოკლედ მომიჭრა. — ეს მეც ვიცი. მე მხოლოდ მინდა გავიგო, რატომ არის თქვენთან ასეთი აუზნაური? — შევეკითხე. — თქვენ ვინ ბრძანდებით? რაში გაინტერესებთ? — ალბად მაინტერესებს. მე სათანადო ორგანიზაციიდან გახლავართ. დირექტორი მოლბა, მან რა იცოდა, რომ სათანადო ორგანიზაციის სახით მე ჩემს საკუთარ ოჯახს ვგულისხმობდი? — რა ვქნათ, ყველა ზომას ვღებულობთ, ვფიქრობთ თათბირების მოწყობას, ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლას, ზომების დასახვას. დაბრძანდით, აგერ, სავარძელში... ვინ არის? შემოდი. კობტად ჩაცმული ქალი შემოვიდა. — შალიკო, ხუთი ბილეთი მინდა... ნაცნობი ნოქარია, უარს ვერ ვეტყვი. — თავი დამანებე! — დაიყვირა, დირექტორმა და დაედევნა. კუთხეში მიიყვანა, მე მესმოდა მისი საყვედური. — აქ რომ მოდიხარ და მეუბნები. ათასი ვილაც შემოდის... აი ახლაც იქ რომ ზის, სათანადო ორგანიზაციიდანაა. იქნებ გახეთის მუშაკიცა... ხომ გამწერა? წადი ჩემს მაგივრად უთხარი, მოგცემენ. ისევ შემობრუნდა. — დიხს, ასეთი მდგომარეობა გახლავთ, თუმცა ბილეთების გადაყიდვას რა თქმა უნდა გებრძობთ, მაგრამ ის ზოგჯერ ერთგვარად საჭიროც არის. აი, მწვალითად, რას იტყვით „დინამოს“ სტადიონის შესახებ? იქ ხომ უმთავრესად გადაწყვიდელებს მადლობელი უნდა იყოთ, როცა საინტერესო გუნდების თამაშზე მოხვდებით. მაშასადამე, ზოგჯერ საჭიროც ყოფილა... სხვა, ხომ არ ინებებთ ბილეთებს? რასაკვირველია, აქ მოგართმევთ. ყოველთვის, როცა გნებავდეთ. მადლობა გადაუხადე და წამოვედი.

გივი



„ქვენ ვგრდწოდებუდი თავისუფალი საფრანგეთი ხართ? რა გაცნობა, თქვენ თავისუფალი ხართ.“



ბაკათი ნიგუნიანაძეს

(ლანჩხუთის რ.)

ო, ნიგუნიანო, კობტა ხარ,
თვალის წარმტაცი, მზიანი,
მახარებს შენი მიღწევა,
მალონებს შენი ხიანი.

მიღწევა სხვა დროს აღენიშნოთ,
ჩვენ აქ ნაკლებ ვთქვით ამ ხანად:
რად სდუმს ელექტროფისქვილი,
ან ის სახერხი ქარხანა?

— — —

სკოლის წინ არხზე არ არის
გადასასვლელი ხილია,—
საგზო სექციავ, ეს საქმე
ნუ თუ ფეხებზე გვიღია?

— — —

სოფლმალის გამგევე აკაკი,
მსურს სიტყვა გითხრა ტკბილია:
რადგან ეს ღია ბარათი
შენთვის პირველი ხილია,

ხამს გაუფრთხილდე ჩვენს სოფლმალს,
რომ სტეხენ ღამით ხშირადა,—
სულ კოკა წყალს ვერ მოიტანს,
დაჯდების ერთხელ ძვირადა.

ჩახუნდარიძე

უ ა რ ი ს მ ო ზ ი ვ ი

„ორპირის უბანში (ტყიბულში) ისეთი ტალახებია რომ ცხენიან კაცსაც
უპირს გაველა“

მარხო



კოლმეურნე—ეკიმო, მიზეველე, კვაცი მიკვდება.

მეტიკიმი—ვერა ძმაო, შენი კვიციხათვის ჩემს ბედაურ ცხენს ვერ გავსწირავ. შენ-
თან რომ წამოვიდდე ორპირში უნდა გავიარო და გზაზე ცხენი დამეხრჩობა ტლაპოში.

გაუჩინილი უღაბი

(დიდი—ჯიხაიშისათვის)

ჯიხაიშში დავამთავრეთ
სწავლის კურსი წარსულ წელსა.
მოწმობაც გვაქვს, დირექტორი
კობრეიძე გვიწერს ხელსა.

დირექტორმა კობრეიძემ
ჩვენა მოგვცა ჩვენ ასეთი:
სურათები გადავიღოთ,
რომ გვახსოვდეს ერთმანეთი.

ჩვენ იმისმა განცხადებამ
გაგვიხარა ერთობ გული,
მოვბოჭეთ და გადავეცით
ფოტოგრაფისა ჩვის ფული,

და სურათებს ველოდებით
გადის უკვე წელიწადი.
მაგრამ თანა სად წავიდა . . .
ჩვენთვის აღარ არის ცხადი.

შოლტო

ხუსი რკო

(ხაშურისათვის) ჩოქნული
ჩოქნული

აქ, ხაშურში, ვერ ვაქვებ
რა დროა, და რა საათი,—
არ გგონოთ ვაჭარბებდე,
მსურდეს ფუჭი მასლათი.

შუალამე რომ გავდება
ბაქანზეა ცხრის ორმოცი,
ანგარანში თუ გაივლი—
არის ზუსტათ ხუთის ოცი.

ცენტრალურში სულ სხვა დროა,
სხვა საათი და სხვა ხანა.
საქმეს ასე ვინც განაგებს
მას ჩანგალი აწყენს განა?

ამფილოქე წყვეტინაჩე

მოკაპიშება

(სოხუმის აგურის მექანიზირებული ქარხანა)

ჩვენს ქარხნის ეზოს სხვა ეზო
ნეტავი რითი სჯობია:
რა უყვოთ, თუმცა უხვად გვაქვს
ტუჭვი, ნაგავი, ობია,

მავთული, რკინის ნაყრები
მიყრილ—მოყრილი აგური.
აქ ყველაფერი „სუფთაა“
თავზე მტვერგადანაბური. . .

აყირავებულ ვაგონებს
უანგი სჭამს უპატრონობით,
ვისაც სურს — ჩვენთან მობრძანდეს
ნავაგს გავატანთ ტონობით.

პაული

ჩახხხხით ჩამოდიოდა . . .

(გალის ჩაის ფაბრიკა)

გულამოსკენილი სტიროდნენ
(ამოქანგოდათ თვალები)
ჩაის ფაბრიკის ეზოში
მანქანა — დანადგარები. . .

— უფურადღებოდ ვფუჭდები
გვაკლია თვალი ფხიხელი. . .
მოსთქვამდა, უთავსაფაროდ
ეზოში მდგარი, დიხელი. . .

ფაბრიკის სახურავიც კი
უბედობაზე ჩიოდა:
ავდრის დროს წყალი ჰქერიდან
ჩუხჩუხით ჩამოდიოდა

ჩაი, გახმობის მაგივრად,
მღვრიე გუბეში ღებოდა.
დირექტორს პირი დაეღო
ნინავს თუ ელოდებოდა.

ნეჭველი

წაილი სოფ. ძველი აბაშიან

მსახიობებმა ცირკისა
საქტაკლი დასდგეს ქებული,—
და იყო სკოლის დარბაზი
მორთული, განათებული.

შეიქნა აურზაურნი,
მოგროვდა მთელი მიღეთი,
ორმოცი კაცის ადგილზე
გასცეს ორასი ბილეთი.

მიტომ ხალხი გარეთ დარჩა,
თუმცა ბევრი იწუწუნეს,—
არც დარბაზში შეუშვეს და
არც ფულეები დაუბრუნეს.

ნინავოჯან, ეს ამბავი
შეჭდერს ამ ჩვენს საუკუნეს?

კაქან ციხკარელი

(მუხურის საშუალო სკოლა,
ტყიბულის რაიონი)

ბიზლირთეკა



— გუშინ დაგიტოვეთ განცხადება დაგეთმობთ ვაგონი ჩემი მიცვალებული ბაბუას წახახუნებლად!

— უნდა იცოდეთ ყმაწვილო კაცო, რომ ვაგონის შესახებ განაცხადი უნდა შემოგეტანათ ორი კვირით ადრე!

ამდენ მოლოდინში გავხდით შესაბრალო, სიცხეში ვიხრჩობით არსად არის წყალი.

სკოლის დირექცია არის განამწყურალი, გული მოსდის ჩვენზე რად ვითხოვეთ წყალი.

სიცხე გვაჭერს ძალზე, ჩერო არსად არი და ვოცნებობთ წყალზე ბავშვთა მთელი ჯარი.

დირექციას სძინავს გამოგვახმა ყელი, წყალი გვინდა, წყალი წყალი სანატრელი.

ძილში გველანდება საუცხოვო წყარო, ირგვლივ გადაშლილი ბალი სანარნარო.

ვიღვიძებთ და სიცხით ვლავ გვეხსმება რეტი, — ვენგან წყარომღვა თი კილომეტრი!

ნიანგო, მოგვხედე მდლიანი თვალით, რომ ეგებ გვალისონ წყაროს ცივი წყალი.

ჩვენის ფოსტა

სიკინფილაკი

უძლეველს (ქობულეთი) თქვენი „საკუთარი შემოქმედებიდან“ ეს რამდენიმე სტრიქონიც საკმარისია, რომ თქვენი „უძლეველი“ ლექსის ძალა საგრძნობი გახდეს.

„ამ ჩვენს გამგეს მაღაზის, სახელად რომ ქვია კაკო, თუნდ ფეხებით ჩამომკიდოთ, არ ძალმიძს რომ იგი ვაქო. ჭკუა სულ გამოეღია, აერია მას დავთარი შემოვა და ისე ყვირის, ჩვენ გვგონია ქვენა ქარი. მაღაზის თანამშრომლებს აბუჩად და მასხარად გვიგდებს, ნაცნობებში როცა გადის ტრაბახობს და თავსა იქებს“.

სხვების შესახებ რა მოგახსენოთ, მხოლოდ თქვენთვის როგორც „უძლეველი“ კაცისათვის ასე აბუჩად აგდება ვერ უნდა გაებედა.

ქიშვარდის (ძველი აბაშა) მივიღეთ თქვენი ლექსი „ღია ბართი ნიანგს“, გვთხოვთ რომ დაგიბეჭდოთ:

„არც იმის წინააღმდეგი ვიქნებით, რომ ეს ჩემი ლექსი ფოსტაში მოათავსოთ და გააკრიტიკოთ, რადგან მჭერა, რომ ლექსი ლექსად დარჩება, პოეტი პოეტად და კრიტიკა კრიტიკადაო“.

გეტყობათ, ჩვენს ჟურნალს სისტემატურად არ კითხულობთ, თორემ გეცოდინებათ, რომ ჩვენგან გაკრიტიკების შემდეგ ლექსი ლექსად ვერ დარჩება და პოეტი პოეტად. რაც შეეხება თქვენს ლექსს, გიბეჭდავთ უცვლელად მის ნაწყვეტს თუ პირობას მოგვცემთ, რომ დსევედონიშს გამოიცვლით და ჩვენ ძველ თანამშრომელს ქიშვარდის არ შეეცილებით.

თქვენი ლექსის ეს სტრიქონები, —

მზეს გაყვება ალამი
მზე მთებს წაეკიდება,
მიყვარს საწერ-კალამი
და პოეტის დიდება.
დაამღერებთ სიმებზე
ჩემს ცხოვრების სათაურს
ჩემი ოქროს სტრიქონებს
და რითმების სამკაულს.

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ნიანგმა მწარედ გაიღიმა. მიხვდებით, — რატომ?

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5. ტელ. 8-74-67

„უთუოდ გერმანელებმა ისარგებლეს სიბნელით და გემებით გადაიტანეს ტანკები ლიბიის სანაპიროებზე“
ინგლისური გაზეთებიდან

კარგად მოწყობილი
გონივრითება



- ცუდმა ამინდმა და სიბნელემ შეუწყო ხელი მოწინააღმდეგეს თორემ...
- ?
- ვერ გააპარებდა ლიბიაში თავის ტანკებს.

კარგად ამინდის ბრალია

„გენერალ-მაიორი კარტონ დე ვიარტ, რომელიც მიდიოდა ახლო აღმოსავლეთისაკენ, მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა.“
რეიტერის ცნობა



- მოწინააღმდეგეს კარგმა ამინდმა შეუწყო ხელი თორემ...
- ?
- თორემ ბნელი ღამე და ნისლი რომ ყოფილიყო, ისინი ვერ დაინახავდნენ ჩვენს გენერლებს და ტყვედ ვერ ჩაიგდებდნენ.